Атәылақуа зегьы рпролетарцәа, шәеидышәкыл!
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# АКОЛЛЕКТИВТӘ ЏЬА
# კოლექტიური შრომა

Қырҭтәылатәи КП Гудауҭатәи араиқоми аҳәаақәлар рдепутатцәа рраисовети иҭрыжьуа агазет
საქართველოს კ. პ. გუდაუთის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ორგანო
АКОЛЛЕКТИВ ДЖА — орган Гудаутского РК КП Грузии и райсовета депутатов трудящихся

Амшьша, ФЕВРАЛЬ 26
1956 шықәса.
№ 18-19 (1.653).
Ахә 10 кап.

მომავალი ჩვენ გვეკუთვნის ვინაიდან ჩვენ მტკიცე რწმენით მივდივართ წინ ერთადერთი სწორი გზით, რომელიც გვიჩვენა ჩვენმა მასწავლებელმა დიდმა ლენინმა.

სკკპ XX ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიდან.

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

## ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ღ ი უ რ ი

20 თებერვლის დილის სხდომა გახსნა ამ. მ. ა. იასნოვის თავმჯდომარეობით. ყრილობა განაგრძობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვას.

პირველი გამოვიდა ამხ. ი. დ. **მუსტაფაევი** (აზერბაიჯანის პარტორგანიზაცია). საანგარიშო პერიოდში, ამბობს იგი, ცენტრალური კომიტეტი გაბედულად აყენებდა და შემოქმედებითად წყვეტდა ჩვენი სამშობლოს შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებს. საბჭოთა კავშირი გახდა მსოფლიოს ერთერთი უდიდესი ინდუსტრიული სახელმწიფო. მნიშვნელოვნად განმტკიცდა საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის საერთაშორისო მდგომარეობა.

შემდეგ ამხ. მუსტაფაევი ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს პარტიის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკაზე, აზერბაიჯანის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაზე. უკანასკნელ ორ წელიწადში რესპუბლიკაში გამოვლინებულია ნავთობის და გაზის ახალი, მდიდარი საბადოები. რესპუბლიკის ნავთობის მუშაკები პირობას იძლევიან ვადამდე შეასრულონ თხევადი საწვავის ამოღების გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედის შესახებ დირექტივების პროექტით.

ინდონეზიის კომუნისტური პარტიის სალამი ყრილობას გადასცა ამხ. **დ. ნ. აიდიტმა**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ხალხების ერთიანობამ და კეთილმეზობლობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ერთობლივმა ბრძოლამ, ამბობს ამხ. აიდიტი, დააახლოვა ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხები. ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ინდონეზიელი მუშების, გლეხების, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის ათასობით წერილი იმ თხოვნით მათი სახელით სალამი გადავცე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობასა და საბჭოთა კავშირის ხალხებს.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ი. **ცედენბალი**, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობა, ამბობს იგი, არის ხ ა ლ ხ ი ს ინტერესებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმისათვის ერთგული სამსახურის მკაფიო მაგალითი, მარქსისტულ-ლენინური თეორიის განხორციელების ნიმუში.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია დაუცხრომლად ზრდის და კვლავაც აღზრდის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების სულისკვეთებით, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის სულისკვეთებით.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ქ. ე. ვოროშილოვმა**.

ამხ. **ზ. ი. მურატოვი** (თათრეთის პარტორგანიზაცია) ლაპარაკობს იმ უდიდეს მუშაობაზე, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა შეასრულა პარტიის მაორგანიზებელი და ხელმძღვანელი როლის შემდგომი გაძლიერებისათვის, მისი რიგების ერთიანობისა და დარაზმულობის განმტკიცებისათვის.

ამხ. მურატოვი თავის სიტყვაში მთავარ ყურადღებას აქცევს ნავთობის მრეწველობის განვითარებას ახალ ხუთწლედში. ამბობს ორატორი, ჩვენს ქვეყანაში ნავთობის ამოღების მატების თითქმის ნახევარი თათრეთმა უნდა მოგვცეს. პარტიული ორგანიზაცია, რესპუბლიკის ნავთობის მუშაკები ყოველივეს გააკეთებენ, რათა წარმატებით შეასრულონ ეს პასუხსაგები დავალება.

დაღესტნის პარტორგანიზაციის სახელით გამოვიდა ამხ. **ა. დ. დანიალოვი**. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია ერთსულოვნად იწონებენ მეექვსე ხუთწლედის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს.

შემდეგ ამხ. დანიალოვმა ილაპარაკა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საკითხებზე.

ორატორმა მხარი დაუჭირა საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ხრუშჩოვის წინადადებას რუსეთის ფედერაციაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დაარსების შესახებ და განაცხადა, რომ მისი შექმნა ხელს შეუწყობს ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების რესურსებისა და შესაძლებლობათა უსწრაფესად და უკეთ რეალიზაციას.

საბჭოთა ლიტერატურის პრობლემებს მიუძღვნა თავისი სიტყვა ამხ. **მ. ა. შოლოხოვმა** (კამენსკის პარტორგანიზაცია).

თქმა არ უნდა, ამბობს ამხ. შოლოხოვი, რომ ჩვენმა ლიტერატურამ თავისი არსებობის მთელი ხნის განმავლობაში ცოტა სრულფასოვანი ნაწარმოები როდი შექმნა და სამართლიანად გახდა მსოფლიოს წამყვანი ლიტერატურა. მაგრამ ბევრი მწერლის ცხოვრებაზე მოწყვეტის შედეგად, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. შოლოხოვი, ჩვენში ცოტაა კარგი ახალი წიგნი. ამხ. შოლოხოვმა თავის სიტყვაში დიდი ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხს.

სიტყვა ეძლევა ამხ. ი. ქ. **ჟეგალინს** (სტალინგრადის პარტორგანიზაცია). იგი ლაპარაკობს სტალინგრადელთა შრომით მონაწილეობაზე მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1955 წელს 83 პროცენტით გადიდდა 1950 წელთან შედარებით. უკანასკნელ ორ წელიწადში სოფლის მეურნეობის ყველა კულტურის ნათესი ფართობი 843 ჰექტარით გადიდდა.

ორატორმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ოლქის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების რეზერვებს.

მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებაში საბჭოთა მეცნიერების მუშაობას მიუძღვნა თავისი სიტყვა აკადემიკოსმა **ი. ვ. კურჩატოვმა**. იგი ლაპარაკობს, თუ მიმდინარე ხუთწლედში როგორ გადაწყდება ყრილობის დირექტივების პროექტში ჩაწერილი ამოცანა, რომ ატომის ენერგიით მივიღოთ 2-2,5 მილიონი კილოვატი ელექტროენერგია. მიმდინარე ხუთწლედში დასახულია აშენდეს თვითეული 50-დან 200 ათასამდე კილოვატი სიმძლავრის 10-მდე ტიპობრივი ატომური რეაქტორი. ამჟამად მთავრდება ატომის ძრავიანი ყინულმჭრელის გეგმის პროექტის შედგენა. ეს ყინულმჭრელი გემებს წაიყვანს ჩრდილოეთის საზღვაო გზით ისე, რომ ორ-სამ წელიწადში არ შეივსოს საწვავის მარაგი. მიმდინარე ხუთწლედში ფართოდ უნდა გაჩაღდეს მუშაობა ატომის ძალოვანი დანადგარების დარგში არა მარტო ყინულმჭრელისათვის, არამედ აგრეთვე სხვა ხომალდებისათვის, ავიაციისა და სახმელეთო ტრანსპორტისათვის.

თეორიული მუშაობა ატომისა და ატომგულის ფიზიკაში, აღნიშნავს შემდეგ ამხ. კურჩატოვი, შესაძლებლობას იძლევა გაჩაღდეს ექსპერიმენტული მუშაობა სამართავი თერმოატომგულის რეაქციების განხორციელებისათვის.

ფინეთის კომუნისტური პარტიისა და მშრომელთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ა. აალტონენმა**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. ფინელ ხალხში, ამბობს იგი, ფართოდ გავრცელდა რწმენა, რომ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების საიმედო გარანტიაა მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან.

ფინეთის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანა მომავალშიც იქნება მშვიდობის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების პოლიტიკის განხორციელება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა, თქვა დასასრულ ამხ. ა. აალტონენმა, ჩვენი პარტიისათვის აღმაფრთოვანებელი მაგალითია.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობდა **მ. ა. სუსლოვი**. პირველი გამოვიდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ნ. **შელეპინი**. მან ილაპარაკა პარტიის XX ყრილობის უდიდეს მნიშვნელობაზე საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე. კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა, ამბობს ამხ. შელეპინი, პირობას აძლევენ ყრილობას, რომ თავიანთ ძალებს, ცოდნას, ენერგიას მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი საქმის ერთგულ სამსახურს.

ლაპარაკობს რა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობაზე, ამხ. შელეპინი აღნიშნავს ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება განზრახული აქვს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ახალგაზრდობის აღზრდის საქმის გაუმჯობესებისათვის, ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის აღმავლობისათვის.

ტრიბუნაზეა ამხ. **დ. იბარური**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან. იგი XX ყრილობას გადასცემს ესპანეთის კომუნისტური პარტიის სახელით ძმურ გულითად სალამს.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესრულება, ამბობს ამხ. იბარური, ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს მსოფლიო მუშათა მოძრაობას, ყველა ქვეყნის პროგრესულ მშვიდობისმოყვარე ძალებს.

ესპანელ კომუნისტთა ერთერთი ყველაზე გადაუდებელი ამოცანა დემოკრატიისათვის ბრძოლაში არის მუშათა კლასის ერთიანობის მიღწევა და ეროვნული ფრონტის შექმნა.

შემდეგ გ ა მ ო დ ი ს **ფ. ი. დუბკოვეცკი** (უკრაინის პარტორგანიზაცია).

იგი ლაპარაკობს ჩერკასის ოლქის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ზოლოტოი კოლოსის" წარმატებებზე. იმაზე, რომ საჭიროა გადაისინჯოს შაქრის ჭარხლის დასამზადებელი ფასები, ლაპარაკობს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურების წესზე, იმ მოხუც კოლმეურნეებისათვის დახმარების დაწესებაზე, რომლებმაც შრომის უნარი დაკარგეს. წინადადება შეაქვს შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზოგიერთი მოძველებული დებულება.

სიტყვა ეძლევა ამხ. ა. მ. **პანკრატოვას** (მოსკოვის პარტორგანიზაცია). იგი ლაპარაკობს, რომ კომუნისტები, რომლებიც იდეოლოგიურ მუშაობას ეწევიან, სრულიად ვერ მიყვებიან ფეხდაფეხ ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანეს მითითებებს. უნდა ვაღიაროთ სერიოზული ჩამორჩენა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებაში.

მომავალ წელს, აღნიშნავს ორატორი, სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წელი. საბჭოთა ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა საზოგადოების განმაზოგადებელი ისტორია. გადაუდებელია ამოცანა — ნამდვილ მეცნიერულ სიმაღლეზე იქნეს აყვანილი დიდი კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლა.

ამხ. **პ. ი. დორონინმა** (სმოლენსკის პარტორგანიზაცია) თქვა, რომ პარტიული მუშაკებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამხ. ხრუშჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს პარტიული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

ჩვენი მუშაობის სამართლიანმა ბოლშევიკურმა კრიტიკამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, განაცხადა ამხ. დორონინმა, ხელი შეუწყო პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესებას.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

## ყრილობის დღიური

(გაგრძელება)

გამოდის ამხ. ვ. კოდოვილა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან. არგენტინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დელეგატებს გადასცემს გულითად, ძმურ სალამს. არგენტინის ისე, როგორც ლათინური ამერიკის ყველა სხვა ქვეყნის ხალხთა მასები, ამბობს ამხ. კოდოვილია, ხედავენ, რომ ბრძნული და ურყევი მშვიდობის პოლიტიკის მეოხებით, რომელსაც საბჭოთა კავშირი, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნები ახორციელებენ, შესაძლებელი გახდა მშვიდობის მთელი ძალების გაერთიანება მძლავრ მსოფლიო ფრონტად, რომელსაც უნარი აქვს არ დაუშვას ახალი ომის გაჩაღება.

თავმჯდომარე ამხ. მ. ა. სუსლოვი იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 51 კაცი. პრეზიდიუმში შემოვიდა წინადადება შეწყდეს კამათი. ამ წინადადებას იღებენ.

შემდეგ თავჯდომარე იუწყება, რომ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი საბოლოო სიტყვაზე უარს ამბობს იმის გამო, რომ ყველა ორატორი სავსებით იზიარებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს.

სიტყვა ეძლევა ამხ. ფ. რ. **კოზლოვს**. მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, უზბეკეთის, ლატვიის, სვერდლოვსკის, გორკისა და როსტოვის პარტიული ორგანიზაციების სახელით მას შეაქვს წინადადება — მიღებულ იქნეს შემდეგი დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების შესახებ:

„მოისმინა და განიხილა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა ადგენს:

მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მოღვაწეობა“.

დელეგატები ერთსულოვნად აძლევენ ხმას ამ დადგენილების მიღებას. დარბაზში იფეთქებს მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან.

ამხ. სუსლოვი ამბობს, რომ არის წინადადება შეიქმნას კომისია, რომელიც მოამზადებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების შესახებ პარტიის ყრილობის რეზოლუციის გაშლილ პროექტს და, ამრიგად, აღადგენს კარგ პრაქტიკას, რომელიც პარტიის XVI ყრილობამდე არსებობდა. ყრილობა ერთხმად ირჩევს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი (თავმჯდომარე), ა. ბ. არისტოვი, ს. ბაბაევი, ნ. ი. ბელიაევი ი. პ. ბოიცოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ვ. გაფუროვი, ა. დ. დანიალოვი, გ. ა. დენისოვი, პ. ი. დორონინი, ი. კ. ჟეგალინი, გ. კ. ჟუკოვი, ნ. გ. იგნატოვი, ს. დ. იგნატიევი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ი. ე. კალნბერზინი, ნ. ტ. კალჩენკო, ი. ვ. კაპიტონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ი. კირიჩენკო, ნ. ვ. კისელიოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. გ. კებინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ნ. ლარიონოვი, გ. მ. მალენკოვი, ვ. პ. მჟავანაძე, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მიხაილოვი, ვ. მ. მოლოტოვი, ზ. ი. მურატოვი, ი. დ. მუსტაფაევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ნ. ნ. ორგანოვი, ნ. ს. პატოლიჩევი, მ. გ. პერვუხინი, პ. კ. პონომარენკო, პ. ნ. სოსპელოვი, კ. გ. პისინი, ი. რ. რაზაკოვი, მ. ზ. საბუროვი, ზ. ტ. სერდიუკი, ა. ი. სნეჩკუსი, ა. ი. სტრუევი, ვ. მ. სუსლოვი, მ. ა. სუსლოვი, ფ. ე. ტიტოვი, ს. ა. თოვმასიანი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. შელეპინი, დ. ტ. შეპილოვი, ა. მ. შკოლნიკოვი.

ამ დღეს ყრილობა იღებს დადგენილებას — დამტკიცდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

* * *

21 თებერვალს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

თავმჯდომარე—ამხ. ი. გ. **კებინი** მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ნ. ა. **ბულგანინს**. დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან ამხ. ბულგანინს.

მოხსენება, რომელსაც მთელი დილის სხდომა მოუნდა, დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მთელი დარბაზი არაერთგზის გამოხატავდა მხურვალე მოწონებას.

* * *

საღამოს სხდომაზე, რომელიც გაიხსნა ამხ. **ე. ა. ფურცევას** თავმჯდომარეობით, დაიწყო კამათი ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების თაობაზე.

პირველი გამოვიდა ამხ. ი. ა. იასნოვი, (რუსეთის სფსრ). ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებაში, თქვა მან, მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული ის გრანდიოზული ამოცანები, რომლებსაც ჩვენი პარტია სახავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის მეექვსე ხუთწლედში. ამხ. იასნოვს მოჰყავს მონაცემები, თუ როგორ განვითარდება მეექვსე ხუთწლედში რუსეთის ფედერაციის სახალხო მეურნეობა. სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდება 1,7-ჯერ. სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩადგება ციმბირის სამრეწველო ნედლეულის უმდიდრესი რესურსები, ციმბირისა, რომელიც უახლოეს ათ წელიწადში ქვანახშირის ამოღებისა და ელექტროენერგიის წარმოების დარგში ჩვენი ქვეყნის უდიდესი ბაზა გახდება. რესპუბლიკის მრეწველობა ხუთწლედის დამლევისათვის გამოუშვებს, დაახლოებით, ბამბის ქსოვილების საერთო საკავშირო წარმოების 78 პროცენტს, ფეხსაცმლის 60 პროცენტს, ხორცის 55 პროცენტს, ერბო-კარაქისა და რძის სხვა პროდუქტების 59 პროცენტს. მარცვლეულის კულტურების ნათესები რუსეთის ფედერაციაში გადიდდება სულ ცოტა 10 მილიონი ჰექტარით. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გამოიანგარიშეს, რამაც ცხადყო, რომ ხუთწლედის დავალება ხორცის წარმოების დარგში შეიძლება შესრულდეს 1958 წელს.

ამხ. კ. ტ. მაზუროვი (ბელორუსიის პარტორგანიზაცია) ამბობს, რომ დირექტივების პროექტში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც ჩამოაყალიბა თავის მოხსენებაში ამხ. ბულგანინმა, მკაფიოდ არის გამოხატული პარტიის გენერალური გეზი, რომ უპირატესად განვითარდეს მძიმე ინდუსტრია—ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის საფუძველი.

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია ხუთწლედის მანძილზე გადიდდეს მრეწველობის საერთო პროდუქცია დაახლოებით 1,7-ჯერ. ზრდის ძლიერი ტემპი დასახულია ენერგეტიკაში, მანქანათმშენებლობასა და ჩარხმშენებლობაში. დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობას.

ამხ. მაზუროვი ლაპარაკობს დამატებებსა და წინადადებებზე, რომლებიც ბელორუსიის მშრომელებმა შეიტანეს დირექტივების პროექტში.

სიტყვა ეძლევა ამხ. ნ. ი. ბელიაევს. მიწათმოქმედების დარგში ჩვენი მთავარი ამოცანა, ამბობს ამხ. ბელიაევი, როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ის არის, რომ მოსავლიანობის გადიდებისა და ახალი მიწების შემდგომი ათვისების საფუძველზე მეექვსე ხუთწლედის დამლევისათვის მარცვლეულის ყოველწლიური მთლიანი მოსავალი გავადიდოთ თერთმეტ მილიარდ ფუთამდე, გავზარდოთ ტექნიკური კულტურების ფართობი და მნიშვნელოვნად გავადიდოთ მათი მოსავლიანობა, მკვეთრად გავადიდოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება. ყველა შესაძლებლობა გვაქვს, ამბობს ამხ. ბელიაევი, რათა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულოთ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი სოფლის მეურნეობის დარგში. უკანასკნელ ორ წელიწადში მოხნული ახალი მიწების ნათესი წელს სულ ცოტა 33 მილიონი ჰექტარი იქნება.

მეცნიერებამ და პრაქტიკამ დაამტკიცა, მაგალითად, რომ მოსავლის აღების ვადების შემცირება და ამით მარცვლეულის დანაკარგის შემცირება შეიძლება პურეულის ცალცალკე აღების გზით. შარშან რომ მოგვეხერხებინა ასეთი წესით აგვეღო მარცვლეულის ნათესთა მხოლოდ 25 პროცენტი და თვითეულ ჰექტარზე მოსავლის მარტო ორი ცენტნერი მატება მიგვეღო, დამატებით ავიღებდით 350 მილიონ ფუთზე მეტ მარცვლეულს. ამ წესის ფართოდ დანერგვისათვის საჭიროა გავადიდოთ სამკელებისა და შემგროვებელთა გამოშვება. ორატორი ამბობს შემდეგ, თუ რა გზით შეიძლება გავადიდოთ სიმინდის მოსავლიანობა.

**ვ. პ. ელიუტინმა** (მოსკოვი) თავისი სიტყვა უმაღლესი განათლების განვითარებას მიუძღვნა. მეექვსე ხუთწლედის მანძილზე სპეციალისტების გამოშვება უმაღლესი სასწავლებლებიდან ერთნახევარჯერ უნდა გადიდდეს, ხოლო მძიმე მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სპეციალობათა დარგში — ერთიორად. ამხ. ელიუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი ყურადღება მიექცევა უმაღლესი სკოლის განვითარებას ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში.

1956 წელს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები მოამზადებენ 71.200 ინჟინერს ნაცვლად 36 ათასისა, რომლებიც გამოშვებული იყო 1950 წელს. სოფლის მეურნეობა მიიღებს 26 ათას სპეციალისტს, ნაცვლად 12.700 კაცისა 1950 წელს.

ამხ. **ნ. ვ. ლაპტევი** (ჩელიაბინსკის პარტორგანიზაცია) ამბობს, რომ წინა ხუთწლედის დავალებანი ჩელიაბინსკის ოლქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა. შემდეგ იგი ლაპარაკობს ოლქის მრეწველობის განვითარების პერსპექტივებზე. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით გაიზრდება შავი მეტალურგია. ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე ავითვისოთ ყაზახეთის სსრ კუსტანაის ოლქის რკინის მადნის საბადოები.

გამოდის ამხ. **მ. რაიმანი**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. იგი ყრილობას მიესალმა გერმანიის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ყველა პროგრესული ადამიანის სახელით.

შემდეგ ყრილობას ავსტრიის კომუნისტური პარტიის სახელით მიესალმა ამხ. **ი. კოპლენიგი**, რომელსაც აგრეთვე გულთბილად შეხვდნენ ყრილობის დელეგატები.

ამხ. კოპლენიგის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის მისალმების ტექსტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი.

* * *

22 თებერვალს ყრილობის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. **ა. ი. სნეჩკუსის** თავმჯდომარეობით. გრძელდება განხილვა ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენებისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის თაობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების შესახებ.

სიტყვას ამბობს ამხ. ნ. ტ. **კალჩენკო** (უკრაინის პარტორგანიზაცია). დირექტივების პროექტით, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა, ამბობს იგი, დასახულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა.

მეექვსე ხუთწლედში ისახება საბჭოთა უკრაინის მწარმოებლური ძალების განვითარების შესანიშნავი პერსპექტივები. სამრეწველო წარმოების მოცულობა დაახლოებით 1,7-ჯერ გადიდდება. 1960 წელს რესპუბლიკა მოგვცემს დაახლოებით 200 მილიონ ტონა ქვანახშირს, 25 მილიონ ტონაზე მეტ თუჯს და 20 მილიონ ტონა ნაგლინს. ლითონის წარმოების მასშტაბით, აცხადებს ორატორი, უკრაინას ვერ შეედრება ევროპის ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა.

მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი ზრდა.

რესპუბლიკას, თქვა შემდეგ ამხ. კალჩენკომ, უდიდესი მატერიალური შესაძლებლობანი აქვს იმისათვის, რომ გადაჭრას დასახული ამოცანები. ეს საფუძველს გვაძლევს პირობა მივცეთ XX ყრილობას, რომ უკრაინის მშრომელები მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულებენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებებს.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხ. **მ. გ. პერვუხინმა**.

ამხ. **მ. ტ. ეფრემოვმა** (კუიბიშევის პარტორგანიზაცია) ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომლებიც კუიბიშევის ოლქის მშრომელებმა მოიპოვეს მეხუთე ხუთწლედში. სამრეწველო წარმოების მოცულობამ 1955 წელს 2,3-ჯერ გადააჭარბა 1950 წლის დონეს, ნავთობის ამოღება გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად, თბოელექტროსადგურების სიმძლავრე — 2,8-ჯერ, დიდად განვითარდა მანქანათმშენებლობა.

(გაგრძელება მე-3 გვ.)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

## ყ რ ი ლ ო ბ ი ს  დ ღ ი უ რ ი

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

ამხ. ბ. პ. **ბეშჩევი** ლაპარაკობს დირექტივების პროექტით დასახულ უდიდეს მუშაობაზე რკინიგზის ტრანსპორტის განსავითარებლად. ხუთწლედის დამლევისათვის ელექტრომავლები და თბომავლები შეასრულებენ მთელი ტვირთბრუნვის 45 პროცენტს ნაცვლად 14 პროცენტისა გასულ წელს. ელექტროწევაზე გადაყვანილი იქნება 8 ათას კილომეტრზე მეტი რკინიგზის ხაზი, მათ შორის ძირითადი მაგისტრალები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ცენტრს აკავშირებენ ურალთან, ციმბირთან და დონბასთან. თბოწევაზე გადაყვანილი იქნება 18 ათასამდე კილომეტრი რკინიგზის ხაზი.

დილის სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ უცხოეთის კომპარტიების მთელი რიგი წარმომადგენლები, რომლებსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

დანიის კომუნისტური პარტიის სახელით სიტყვა წარმოთქვა ამხ. ა. **ლარსენმა**. მან თქვა:

თქვენი ყრილობა ცოცხალი დადასტურებაა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის უდიდესი პროგრესისა, მისი უპირატესობისა კაპიტალიზმის სისტემასთან შედარებით. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი მძლავრი ძალაა მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის და მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისათვის.

ინდოეთის კომპარტიის სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას მხურვალე ძმური სალამი გადასცა ამხ. **აჯოი კუმარ გჰოშმა.**

აღმოსავლეთის ხალხებს, თქვა მან, რომლებმაც მოიშორეს კოლონიალიზმის უღელი და ესწრაფვიან აღადგინონ თავიანთი ეკონომიკა, საბჭოთა კავშირი მიაჩნიათ ერთგულ მოკავშირედ, საიმედო და უანგარო მეგობრად და ძმად, რომელიც დახმარებას გვთავაზობს რაიმე პოლიტიკურ ვალდებულებათა დაუკისრებლად.

ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის მოგზაურობა ინდოეთში, აღნიშნავს ამხ. გჰოში, გადაიქცა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნულ დღესასწაულად, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყველა კლასმა, ყველა პარტიამ და ხალხის ყველა ფენამ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, თქვა დასასრულ მან, რომ მსოფლიოს სამი დიდი ქვეყნის—სსრ კავშირის, ჩინეთისა და ინდოეთის მეგობრობა განუხრელად გაიზრდება, როგორც მთელი მსოფლიოს მშვიდობის უაღრესად მძლავრი ფაქტორი.

ნორვეგიის კომპარტიის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **ე. ლევლიენი.**

მექსიკის კომპარტიის სახელით ყრილობას მხურვალე სალამი გადასცა ამხ. **დ. ენსინამ.**

დილის სხდომაზე გამოაქვეყნეს აგრეთვე თურქეთის, ალჟირისა და კოლუმბიის წერილობითი მისალმებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი.

* * *

საღამოს სხდომაზე, რომელიც ამხ. **ზ. რ. რახიმბაბაევას** თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, კამათში პირველი გამოვიდა ამხ. **ვ. ა. კუჩერენკო.** იგი დაწვრილებით ეხება ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის საქმის შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ აღნიშნავს, რომ მშენებელთა შრომის ნაყოფიერება მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის უნდა გადიდდეს სულ ცოტა 52 პროცენტით.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ვ. ვ. მაცკევიჩს.** მან თქვა, რომ საჭიროა გადიდდეს მარცვლეულის მოსავლიანობა. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის თესვისა და მოსავლის აღების ვადების შემცირებას, პურეულის მოსავლის ცალცალკე აღების გამოყენებას, ჯიშიანი თესლების თესვას.

ორატორმა განაცხადა, რომ ახლა თვითეულ ოლქში იქმნება კომპლექსური საცდელი სასოფლო-სამეურნეო სადგურები ან ინსტიტუტები, რომლებსაც ეკისრებათ მეცნიერულ-პრაქტიკულად შეიმუშაონ უაღრესად აქტუალური საკითხები, რომლებიც ოლქის სოფლის მეურნეობის წინაშე დგას.

ამხ. **ა. გ. შერემეტიევმა** თავისი სიტყვა მიუძღვნა შავი მეტალურგიის განვითარების საკითხებს. ჩვენი მეტალურგია, თქვა მან, ვითარდება ისეთი ტემპით, როგორც უცნობია მსოფლიო ისტორიისათვის. უკანასკნელი 26 წლის მანძილზე ფოლადის წარმოების საშუალო წლიურმა მატებამ ჩვენს ქვეყანაში შეადგინა 9 პროცენტი, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში—სულ 2,4 პროცენტი, ინგლისში—2,8 პროცენტი, საფრანგეთში—1 პროცენტი.

თავმჯდომარე აცხადებს:
— ჩვენი ყრილობის მისასალმებლად მოვიდნენ ნორჩი პიონერები. დელეგატები და სტუმრები ფეხზე დგებიან, მქუხარე ტაშით ეგებებიან პიონერებს. ცოცხალ ყვავილებსავით დაამშვენეს ბავშვებმა დარბაზის ყველა გასასვლელი, მთელი თავისუფალი სივრცე ტრიბუნებთან.

პროზად და ლექსად დაწერილ მისალმების ტექსტს კითხულობს რამდენიმე გოგონა და ბიჭი. იგი გამსჭვალულია უანგარო სიყვარულით მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი.

დასასრულ გაისმის მოწოდება:

ნორჩო პიონერებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

სალუტს აძლევს ასობით ბავშვი, წკრიალა ხმები ერთსულოვნად უპასუხებენ:

—მზად ვართ!

გოგონებისა და ბიჭების ერთი ჯგუფი პრეზიდიუმისაკენ მიექანება. მათ ცოცხალ ყვავილთა თაიგულები მიართვეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, აგრეთვე უცხოეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებს.

ყრილობის დელეგატები გულთბილად აცილებენ პიონერებს, რომლებიც ტოვებენ დარბაზს.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. **ი. ა. კაიროვს.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეექვსე ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა კულტურის დარგში ის არის, რომ ყველგან განვახორციელოთ საყოველთაო საშუალო განათლება. ფასდაუდებელია, აცხადებს ორატორი, ამ ამოცანის მთელი მნიშვნელობა. მისი განხორციელება უდიდესი წვლილი იქნება საბჭოთა ქვეყანაში სოციალისტური კულტურის განვითარების საქმეში.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებს.

ურუგვაის კომპარტიის სახელით ყრილობას მისალმება გადასცა ამხ. **რ. არისმენდიმ.** მან თქვა: — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვა მან კომუნიზმის მშენებლობისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს განვითარებაში, უდიდესი სტიმულია ჩვენი ხალხის ბრძოლაში ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

ისრაელის კომპარტიის წარმომადგენელმა ამხ. **ს. მიკუნისმა** განაცხადა:

ჩვენ მთელი სულითა და გულით მივესალმებით დიდი საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის უდიდეს წარმატებებს, რომლებსაც მიაღწია მან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ნაცადი და ბრძნული ხელმძღვანელობით კომუნიზმის მშენებლობაში და მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

შვეიცარიის შრომის პარტიის წარმომადგენელმა ამხ. **ე. ვოოგმა** თქვა, რომ შვეიცარიის მშრომელებს საბჭოთა კავშირი მიაჩნიათ მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მედროშედ.

საღამოს სხდომაზე გამოაქვეყნეს აგრეთვე პორტუგალიის, მალაიისა და ვენესუელას კომპარტიების წერილობითი მისალმებანი ყრილობისადმი.

24 თებერვალს ყრილობა განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

## Акомҿареидгылаа ироуеит абилеҭ ҿыцқуа



Ҳазныу ашықус ианвар 1 инаркны иалагеит акомҿареидгылатә билеҭқуа рыԥсахра. Ари даара акырзა зҵазкʻуа хҭысны ауп ишықоу акомҿареидгылаа иреиуоу зегьы рзы.

Абри убас шаку дырны, акомҿареидгылатә билеҭқуа рыԥсахра иахьынзахуҭаз ахшыҩзышьҭра аҭо, еиҿкаарыла имҩаԥыргеит Бамборатәи ажьтә совнхараҿтәи (амаӡаныҟугаҩ В. Лакоба), Калдахуаратәи 8-шықусатәи ашкол аҿтәи (амаӡаныҟугаҩ А. Амԥар), аколнхара Русҭавели ихьз зхыу аҿтәи (амаӡаныҟугаҩ В. Габелиа), Гудауҭатәи ахулԥазтәи ашкол (амаӡаныҟугаҩ В. Каржов) уҳәа убас егьырҭ аиҵбыраӡатәи акомҿареидгылатә организациақуагьы рыҟны.

**Асахьаҿы:** Кырҭтәылатәи акомҿареидгыла Гудауҭатәи араиком амаӡаныҟугаҩ аҩ. Г. Дбар акомҿареидгылатә билеҭ ҿыц иҭоит Гудауҭатәи ахулԥазтәи ашкол аҿтәи акомҿареидгылатә организациа амаӡаныҟугаҩ аҩ. В. Каржов.

**К. Щьчербаков** ифото.

## საზეიმო სხდომა დიადი თარიღების აღსანიშნავად

გუშინ, საღამოს 8 საათზე გუდაუთის კულტურის სახლში შედგა საზეიმო სხდომა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მიძღვნილი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 38-ე წლისთავისა და საქართველოს გასაბჭოების 35-ე წლისთავისადმი.

საზეიმო სხდომა გახსნა გუდაუთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. ავიძბამ.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 38-ე წლისთავისა და საქართველოს გასაბჭოების 35-ე წლისთავის შესახებ მოხსენებით გამოვიდა გუდაუთის რაიონის სამხედრო კომისარი ამხ. მაქსიმოვი.

—საქართველოს მშრომელები,—თქვა მან,—ამ ორ ტრადიციულ დღესასწაულს აღნიშნავენ სკკპ XX ყრილობის მუშაობის დღეებში.

მომხსენებელი ლაპარაკობს უდიდეს მიღწევებზე, რაც მოიპოვა ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ოცდათუთხმეტი წლის მანძილზე საქართველოს მშრომელებმა უმაგალითო წარმატებანი მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. გაიზარდა რესპუბლიკის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

მომხსენებელი ლაპარაკობს საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელოვანი გზის, იმ უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის შესახებ, რომლითაც საბჭოთა ხალხი იბრძვის მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათ გადამეტებით განხორციელებისათვის.

საზეიმო სხდომის მონაწილენი მქუხარე ტაშით ხვდებიან მომხსენებლის სიტყვებს, როცა იგი გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა ხალხს, ბრძენ კომუნისტურ პარტიას—ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს.

* * *

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა მხატვრული ნაწილი.

**რედაქტორი დ. უბილავა.**

Аҳабла Новыи афон (аӡлагаратә корпус №2) аҟны инхо **Баточка Пиотр Василиԥҳа** ауыс алеигалоит, нара ари аҳаблаҿы (амшынҿықутә корпус №104) инхо иԥҳәыс **Салова Марфа Павел-иԥҳан** нареи шеилыҵуа азы.
Ауыс иахуаԥшраны иҟоуп араионтә жәлар рызбарҭа аҩбатәи уачастаҿы.

Аҟ. Гудауҭа, агазет «Аколлективтәҵьа» атипографиа.